კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები მომსახურეობის სექტორისთვის (ბანკები, აფთიაქები და სავაჭრო ობიექტები)

სამუშაო ადგილზე COVID-19 ვირუსის გავრცელების პრევენციის გზები:

პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/ პირებთან (გაიარონ კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);

დამსაქმებლის ვალდებულებები

დამსაქმებელმა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გამოვლენილი ინფექციის შემთხვევა, უნდა შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, რაც ხელს შეუწყობს ავადმყოფობის გამო გაცდენილი სამუშაო დღეების შემცირებას, გამოვლენის შემთხვევაში კი - გავრცელების პრევენციას;

⇒ მენეჯმენტმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პერსონალს უსაფრთხო მუშაობის პროცედურების და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ.

⇒ იქ, სადაც შესაძლებელია სამუშაოს შესრულება განხორციელდეს დისტანციურად, უზრუნველყავით მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება;

⇒ პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე უზრუნველყავით დახურული სივრცეების/ სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დეზინფექცია;

⇒ მუშაობის მიმდინარეობისას, სამუშაო დროის განმავლობაში დააწესეთ სანიტარული შესვენებები. გამოყავით პიროვნება ვინც დაამუშავებს სამუშაო პლატფორმას შესაბამისი წესით;

⇒ ეცადეთ მოძებნოთ ნაღდი ფულის გამოყენების შემცირების გზები. წაახალისეთ დისტანციური გადახდები (დისტანციურად გადახდისთვის დააწესეთ ბონუსები და ა.შ);

⇒ შენობის შესასვლელებში განათავსეთ დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;

⇒ თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ხელის ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;

⇒ დარწმუნდით, რომ დასაქმებულებს აქვთ წვდომა ხელის ჰიგიენურ საშუალებებთან (მათ შორის თხევად საპონთან და ქაღალდის ხელსახოცებთან) და სახის ნიღბებთან;

⇒ გამოყენებული ჰიგიენური საშუალებები განათავსეთ დახურულ კონტეინერებში და უზრუნველყავით მათი დროული გატანა შენობიდან, შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;

⇒ მობილური ტელეფონის/ქალაქის ტელეფონის გამოყენებისას გახსოვდეს, რომ ტელეფონს შეეხეთ ხელებით, რომელიც პოტენციურად ვირუსის გადამტანია. ხშირად გამოიყენეთ სადეზინფექციო საწმენდი საშუალებები მის გასაწმენდად;

⇒ შეზღუდეთ მომხმარებლების და ფართო საზოგადოების დაშვება ობიექტებზე, ან ისინი მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო არეალში დაუშვით. დააწესეთ კონტროლი და შეიმუშავეთ შესაბამისი სქემა მომხმარებელთა ეტაპობრივ დაშვებაზე;

⇒ სამუშაო მაგიდებთან, იქ სადაც დასაქმებულს უწევს კონტაქტი ვიზიტორთან, დროებით დაამონტაჟეთ გამჭვირვალე დამცავი ბარიერი, რათა მაქსიმალურად იქნას აცილებული ჰაერწვეთოვანი გზით ინფიცირების რისკი ან უკიდურეს შემთხვევაში თანამშრომლები უზრუნველყავით სახის ფარით, ხელთათმანითა და შესაბამისი რესპირატორით;

⇒ ყველა თანამშრომელს და კონტრაქტორს, დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდოთ ინფორმაცია შესაბამისი პრევენციული პროცედურების შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული კორონავირუსის გავრცელება სამუშაო გარემოში;

⇒ დასაქმებულები უზრუნველყავით შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანი, რესპირატორი);

⇒ ვიზიტორთა შორის დისტანციის დასაცავად გამოიყენეთ სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით);

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები მომსახურეობის სექტორისთვის (ბაკნები, აფთიაქები და სავაჭრო ობიექტები)

სამუშაო ადგილზე COVID-19 ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის გზები:

პერსონალი არ უნდა გამოცხადდეს სამუშაო ადგილზე იმ შემთხვევაში, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 14 დღის განმავლობაში;
- ბოლო 14 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/ პირებთან (გაიარონ კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);

დასაქმებულთა ვალდებულებები

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსებისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას.

აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

⇒ დაიცვათ ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
⇒ სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ზედაპირები, თუ ხელსაწყოები;
⇒ საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ, საპირფარეშოში შესვლის და გამოსვლის შემდეგ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით და კარგად გაიმშრალეთ ;
⇒ მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას, ჩახუტებას და სხვა);
⇒ დაიცავით უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 1 მ-სა);
⇒ დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი მოათავსეთ ურნაში;
⇒ გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას.
⇒ მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.
⇒ მობილური ტელეფონის/ქალაქის ტელეფონის გამოყენებისას გახსოვდეს, რომ ტელეფონს შეეხეთ ხელებით, რომელიც პოტენციურად ვირუსის გადამტანია. ხშირად გამოიყენეთ სადეზინფექციო საწმენდი საშუალებები მის გასაწმენდად.

შენიშვნა: *ჯანდაცვის მინისტრის N281/ნ ბრძანების შესაბამისად, იმ პირებზე ვინც კორონავირუსის პრევენციის მიზნით კარანტინში იმყოფებიან საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტინის) ტოლფას ცნობას გასცემს ჯანდაცვის სამინისტრო. აღნიშნული დოკუმენტი დამსაქმებლებისთვის ხელფასის გაცემის საფუძველი იქნება და შესაბამისად დასაქმებულ ადამიანებს ლეგიტიმურად ჩაეთვლებათ და სრულად აუნაზღაურდებათ კარანტინისა და თვითიზოლაციისას გაცდენილი სამუშაო დღეები. ცნობის მისაღებად დაინტერესებულ პირს შეუძლია სამინისტროს ელექტრონული ფოსტის მისამართზე - info@moh.gov.ge მიმართოს.*